საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69. 692501312**
თარიღი:**13/01/2025**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N 69. 692133716 განკარგულებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N 69. 692133716 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ“ და განკარგულების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 2. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს ბაქარი ბარბაქაძეს თანამდებობრივ სარგოდ განესაზღვროს 2336 ლარი.“

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1-ელი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი